


კვირა 13 მაისი 1916 წ.

რედაქციის ადრესი: თბილისი, ოლღას ქუჩა № 6.

ფასი 12 კპ.
გაზეთი

მშენებელი პატრონი

ნუმორისგ. 1
ჟურნალი
№ 11



გოგელ-კვირეული ბრძოლა

„ყოფილი“.

უნდა გულ-ახილვით მოგახსენოთ, რომ, როდესაც ჩემს თვალს გაზეთის ფურცლებზე, ან ჩემს ყურს ზეპირ-მეტყველებაში დეხატება სიტყვა „ყოფილი“ გულში რაღაც გამოურკვეველი გრძნობა მეხადება ხოლმე.

მაგრამ როდესაც „ყოფილი“ ამჟამს თავისი „ყოფილობით“ და ვისიმე ნიშნის მოსაგებათ სწერს: „ყოფილი სოც. ფედერალისტი“ ან „ყოფილი სოციალ-დემოკრატი“ მაშინ ჩემი გრძნობაც გარკვეულ სახეს იღებს, — მე ამგვარ მოახულობას ჩემი გრძნობისას ზიზღს ვეძახი.

ერთი ასეთი „ყოფილი“ სოციალ-დემოკრატი ამ წინაზე სახალხო ფურცელშიაც სწერდა პეტრე გელიშვილის შესახებ. ვინ იცის ის მწერალი მართლა „ყოფილია“, თუ განგებ თხზავს თავისი „ყოფილობას“, რომ ამით წერილში აღნუსხულ ფაქტებს მეტი ფასი დასდოს. მე მხოლოდ ერთი რამ მაკვირვებს; პატრიცემული „ყოფილი სოციალ-დემოკრატი“ ახლა რომ ამჟამით იძახის „ყოფილი“ ყარო, მაშინ რატომ არ აცხადდება გაზეთებში წინამდელი სოციალ-დემოკრატი“ მე გახლავარო. ალბათ „ყოფილი“ უკვე უზრუნველყოფილია სადერთისხადან. ჩემის აზრით „ყოფილია“ რისაც უნდა იყოს იგი, არავითარი სატრაბახო საქმე არ არის.

აი თუნდა: „ყოფილი ვაზაიკი“, „ყოფილი ქვემოქმედი“, „ყოფილი ჭკვიანი“, „ყოფილი სულელი“, „ყოფილი კაცი“, „ყოფილი მხეცი“ ორივე შემთხვევაში საძრახისა.

ყველა ასე ადვილათ ვერ გადადის „ყოფილითა“ კატეგორიაში. ზოგიერთი პიროვნება ამ დროს „ორ წყალ შუა“ ვარდება. ასე დაემართა, მაგალითად ქ. ნ. აზიანს.

შარშან დეკემბერში ართვანის მიდამოებში ოსმალთა ჯარი გაღმოვიდა. ამან დიდი შიშო გამოიწვია თფლისის მცხოვრებთა შორის. შიშმა შეიპყრო ქ. ნ. აზიანც და რკინის გზის სადგურისაკენ გაქანა, რომ ყარაურობაში შევიდო ოსმალთაგან თავი დაესწია.

სადგური ხალხით სასეე დახვდა. ჩაღა რიგში და როცა კასასთან მივიდა მაშინ გაახსენდა, რომ ფულზე ცოტა ხელმოკლეთ ყოფილიყო. თუ მივიღებთ სახეში თათრების სიხლოვეს, ისინი მა-

შინ თითქმის სამაის ვერსის მანძილზე იყვნ თფლისიდან, სულაც არ გავგვიკარგდნას ასეთი გულ-მაფიწყობა.

ქ. ნ. აზიანმა აიღო ბილეთი მხოლოდ ბაქომდე და იშოვა ადგილი ვაგონში მალლა თაროზე, ქერში ბარგის საწყობ ალაგას. პოპოცია თუშცა ვერაფერი შევილია, მაგრამ მშვიდობიან უკანდახევის მაინც უზრუნველყოფს და ამით მოზღვაგებულ შიშს აცხრობს. საბარეე თაროდან ნ. აზიანმა ფრთხილათ გაიხედა ფანჯარაში და გაახსენდა, რომ ის თფლისში იწყოფება.

„მშვიდობით თფლისსო! მშვიდობით საქართველო!“ აღმოხდა გულიდან უკვე დამშვიდებულ მწერალ ქალს ამ სიტყვების სხენებაზე და უცებ მოაგონდა, რომ ის ინტერნაციონალისტია და სამშობლო არ უნდა ჰქონდეს. კედლისკენ გადაბრუნდა და... ტირილი დაიწყო.

როცა ქ. ნ. აზიანი დამშვიდდა, გაახსენდა, რომ ის ტომით სომეხია და საქართველოს დატოვებაზე კი სტირის. ამან სულ არიგ-დარია მისი თვით გამოკვევის საქმე. ვაიოლის რომ იგი ყოფილა არა მარტო „ყოფილი სოციალ-დემოკრატი“, არამედ „ყოფილი“ სომეხიც.

ნ. აზიანს მრავალჯერ უნახავს, თუ როგორის სიხარულით სტოვებენ საქართველოს შორეულ ჩრდილოეთისაკენ ვადასახლებული ქართველი სოციალ დემოკრატები. ვაუგონია, თუ როგორ ბედნიერათ გრძნობენ თავს ისინი თავისს ახალ სამშობლოში, ვინაიდან მათ არა სწამთ თავისი ქვეყანა, თავისი სამშობლო კუთხე.

თითონ ქ. ნ. აზიანი კი უკვე იცრემლებო „მთაწმინდის“ დანახვისთანავე და საბარეე თაროზე წამოწოლილი საშინელს ტრადედიას განიცდის. სამშობლოს სიყვარულის გრძნობამ უკვე ამოიყვანა ის ინტერნაციონალური ჯურღმულიდან და ნაციონალიზმის ბედნიერ ფრთებზე შეასკუპა. ის უკვე თავს „ყოფილ სოციალ-დემოკრატათ“ გრძნობს და ეს ოღნავე უნეტლებ მძიმე სატანჯველს.

ვინც რიგინათ ჩაუკვრდება ამ მოთბრობას, რომელიც ამოღებულაი ქ. ნ. აზიანის აღსარებშიდან, („სახალხო ფურცელი“ 513) ის დაინახავს, თუ როგორის ტანჯვით მოიპოება ხშირათ საპატრიო სახელი „ყოფილილი სოციალ-დემოკრატისა“.

ნ. აზიანის ისტორია აქ ილიუსტრაციას აღარ საქიროებს.

მგელი და ცხოველები.

შვიდ ტყიდან გამოვარდა
გამოდლილი დიდი მგელი,
გადიბრინა მთა და ბარი,
მოიარა ყრუ სოფელი.

გააცხადა: ცხოველებო,
თუ რამე გაქვთ გასაჭირი,
არ დამალოთ ჩემს წინაშე,
შეწუხებას თქვენსას ვსტირი;

მინდა ვიქნე თქვენი მხსნელი,
მოგაშორეთ წყლულო, ქირი,
სწრაფათ გაჩნდა მგლის წინაშე
ყურ-პარტყუნა სისვი ვირი.

იყროყინა, მგელს ემთხვია,
მოიხარა მის წინ ქელი
და მიანდა ყოველივე;
თვისი საქმე, თვისი ბედი.

უთხრა: „მეფეო, დამიხსენი,
მგლებმა აღარ შეგვასვენა,
ჩვენ წვალებას, გაპივრებას
ველარ იტყვის სწორეთ ენა.“

ცხვარიც გაჩნდა ბატონის წინ,
და ამ ლექსით მოახსენა:
ტურა-მგლებმა არ გვატოცხლეს.
არ გვადიოსეს შებბა-ლებნა.“

თხაც მოვიდა... თაყვანი სცა,
გააქანა წვერი გრძელი,
ტირილითა და ვედრებით
უთხრა: „იქმენ ჩვენი მხსნელი,

ტურა-მგლებმა სულ აგვიკლეს,
დღე დავადბა მწარე შავი“
მგელმა მწყრალათ დაიყვირა:
„ეს რა მესმს, რა ამბავი!“

ცხოველების დასაჯრათ
იყროყინა ვირივითა,

ხან თხის ხმაზე იბეტელა,
ხან იბლავლა ცხვარივითა.

ცხოველებსა გაეხარდათ,
გაიგონეს რა ხმა თვისი,
მგელი მხსნელათ დაისახეს,
მოჩრილება ჰქონდათ მისი.

მგელმა ყველა წაიყვანა
და შერეა შუა გულ ტყეში,
გამოძდა და გაიბერა,
არ ყოფნია თითო დღეში.
სიმონ ჯორბენაძე.

ნომერი 3007.

ქ. გორის ყოფილი თავი ბ-ნი ზ. ქიტიაშვილი მიძიმეთ ჩაფიქრებული იჯდა საწერ მაგიდასთან და ვიდაცას ელოდა.

მომსგლედი არა სჩანდა. თავ-ყოფილი მოუთმენლად ჩასკქეროდა საათს. უცებ თვალი მოჰკრა საათის ნომერს და რაღაც უსიამოვნოთ შეიშმუშნა. საათზე წვრილი ნომრებით იყო აღბეჭდილი № 3007.

— დასწყევლოს ღმერთმა, ეგ ნომერი გორშიაც არა მშორდებოდა, ახლა აქი აქაც თან გამოყოლია.

ის წამოდგა, სწრაფად მივიდა ტელეფონთან და წიგნის ფურცლო დაიწყო. მან იპოვა საქირო გვარი, დახედა ნომერს და გაშეშდა.

— ღმერთო ჩემო! აქაც ის, ის ოხერი ციფრი. არა ეს ყოვლად აუტანელია.

ექს თავი მსწრაფლ მოშორდა ტელეფონს, ფანჯარასთან დაჯდა და ქუჩაში ცქერა დაიწყო. ფანჯრის წინ მეტლზე იდგა და მშვენივრად გაშმენდილ ფარნებზე შავად ეწერა საბედისწერო რიცხვი № 3007.

— ეგ სწორედ გამაგიებეს. მე ამას ვერ გავუძლებ!.. ნაწყვეტ-ნაწყვეტ ისროდა ზ. ქიტიაშვილი და ოთახში წინ და უკან დადიოდა. — უნდა ქუჩაში გავიდე, იქნებ გული გადავყავლო რასმე.

მან ჩაიკვა პალტო, დაიხურა ქული და ჩამოვიდა ეზოში. კარებთან მეტოვეს იგი თითქმის არასოდეს არ დაჰკვირვებია, მაგრამ ახლა უნებლიეთ მიიპყრო იმისი ყურადღება მეტოვის გულზე ბეჭვირილა ჯემტის ნაქერმა, ქეშტზე ნათლად

მოსწავლად უკვე ცნობილი № 3007. ქიტაშვილიმა ხელი ჩიქნია, თითქო ამებარ კოლონებს იშორებსა და ქუჩაში გავარდა.

დასახლისის პატარა გოგის¹ რომელიც სა-
აზნაურო გინაზის მეთხე კლასში სწავლობს,
მასწავლებელმა დიდათ თავსატეხი ამოცანა გამო-
ტანა სახლში გასაკეთებლათ. აი ის ამოცანა:

№ 3007. ერთი ვაჭარი, 1905 წელს ქ. გო-
რიდან გაიგზავრა შორეულ ქვეყანაში. წასვლისას
მას ჰქონდა ჯიბეში 60 მან და 14 კაპ. ვაჭარმა
დაპყო ჩრდილოეთში 1 წელიწადი და დაბარჯა ნა-
ხევარი თავისა ქონებისა. კითხვა: რამდენი კაპეიცი
ჩამოჰყვა უკან დაბრუნებულ გორელ ვაჭარს?²

პატარა გოგი ქირის ოფოში იწურებოდა, მა-
გრამ ამოცანას ვერაფერი გაუგო. დედა მის ვათა-
გებული აქვს მხოლოდ ქალების გინაზია და ამა-
რა უნდა გაუგოს ასეთ ჯოჯოხეთურ გამოცანას.
სწორეთ უნდაგეგო მდგომარეობაში იყო პატარა
გოგი, რომ ძია ზაქარია არ წამოსწრებოდა.

— ძია გენაცვალე, მიშველე, თორემ ხვალ
„კოლი“ შექნება.

— ამა მოიტა!

— აი, ძია!

თავ-ყოფილს ჯერ არც დაეწყო ამოცანის კი-
თხვა, რომ დავითარი აერია, ვინაიდან თვით ამოცა-
ნას ეწერა № 3007.

— ძნელია ძია ზაქარო?

— არა, ვნახოთ. რა უნდა იყოს აქ ისეთი.

— მაშ რამ დაგაფიქრა?

— ისე... ტყვილით... „ერთი ვაჭარი...“

რაო? ვაჭარი?

— ჰოდე!

— „ერთი ვაჭარი 1905 წელს...“ რა ახირე-
ბული ამოცანაა...

— რატომ არის ძია ახირებული?

— ისე ტყვილით... ისე მხევენება თითქო ნა-
ცნობია რალაყა.

— შენთვის ნაცნობი იქნება მა რა!

— „გემგზავრა შორეულ ქვეყანაში...“ ეგ
პრდაპირი გასაოცარიია!..

— სულაც არა, ყველა ვაჭარი ასე დიდს
შორეულ ქვეყანაში.

თავ-ყოფილმა ჩიკითხა ბოლომდე მართლაც
ახირებული ამოცანა. ფარული მდელვარება დამი-

შვიდა და ამოცანასაც ადვილით გაუგო ასეველ-და-
სადილი.

— თუ მას წასვლისას ჰქონდა 60 მანეთი და
14 კაპეიცი, ხოლო იქ დახარჯა ნახევარი, ცხადია
60 მან. და 14 კაპ. უნდა გავყოთ ორზე...

— ორზე რატომ, როცა ვაჭარი ერთი იყო?
მორცხედ შენიშნა გოგის დედა.

— დააცა დედოკო, ძიაშ უკეთ იცის.

— კარგი, შვილო, კარგი!

— 60 მან. და 14 კაპ. ნახევარი რომ გივი-
გოთ, ამიტომ უნდა გავყოთ ორზე. მივიღებთ 30
მანეთსა და 7 კაპეიკს. მაშ მისა დაუხარჯავს 30
მანეთი და 7 კაპ.

ახლა ჩვენ უნდა გავიგოთ რამდენი ჩამოჰყვა
მას აქ.

— აქ კი არა, ძია, გორში. ის ვაჭარი გორი-
დან იყო წასული.

— ვიცი, ვიცი. ამისათვის საჭიროა 60 მანეთს
და 14 კაპ. გამოვავლოთ 30 მანეთი და 7 კაპე-
იცი. დაგვრჩება 30 მანეთი და 8 კაპეიცი.

— არა, არა! თოთხმეტს თუ შვიდს მოვაკ-
ლებთ შვიდი დაგვრჩება.

— ეეჰ! ჯანი გივარდეს, დაგვრჩება 30 ში-
ნეთი და 7 კაპ. ამით გათავდა საქმე.

— „ნატვეტში რომ ასე არ არის?

— როგორ თუ არ არის?

— იქ 3007 კაპეიკია.

— ეგ შეუძლებელია!.. კარგი მეყოფა...

— იქნებ იქ შეცდომაა შვილო, ძია ზაქარია
ხომ არ შეცდებოდა.

— არა დედი, არ არის შეცდომა, შალიკოს
სწორათ გამოუვიდა.

— ამა რაიცი გენაცვალე, წალი და შალი-
კოსა ჰკითხე.

მორიელი.



წურბელა და ობობა.

(ანაკი. ძღვნათ გ-ს და ბ-ს)

ერთხელ წურბელა ობობას დაუძმობილდა სრულდა; უთხრა: „წავიდეთ იქ, სადაც სისხლი სჩქედს ნაკადულდა. ამბობენ: — ქუქყიანეთში არის ასეთი მხარეო, ვინც იქ მიაწევს, გაჭკრება მისთვის ცხოვრება მწარეო.“ მან უპასუხა: — „ძმობილო, ეს მართალია, მართაო ტკბილ ცხოვრებისთვის მკვდრის ცივი სისხლი განა კი კმარაო? საჭირო არის ამისთვის, რომ თფილი სისხლი ვსწოვოთო — შერე სად უნდა ვიწოვოთ და როგორ მოვიბოვოთო? — შენ არხეინათ იყავი, ეს ჩემს კისერზე იყოსო, ოლონდ ფეხის ხმას არ აწყვე, არავინ გაგაბრიყვოსო: მე ისეთ ქსელებს ვაგებამ, ვერ ასკდეს ერთი მწერიო; შენ იქვე გაინაბები, როგორც უანაში მწყერიო; რა გაებმება, ეცემი, სისხლს გამოსწოწნი თფილათო, მაგრამ თან, რომ არ გაგეკცეს, კი უნდა იყო ფრთხილათო.“ შეუღდა საქმეს ობობა: გააბა ქსელი ქსელზედა. წურბელა ც ტბისპირს აფოფხდა და გაინაბა ველზედა.

ღრო გადის. წუთით წუთამდე ებმება ბუზი, პებელა.. წურბელა გახარებული სწოვს და სწოვს თფილ სისხლს ნელნელა. ისე გასუქდა, გაკეთდა, ველარ ცნობს ძველათ მნახველი. თავიც კი მოაქვს უბადრუქს, ვით ღიღ საქმეზე მზრახველი! და ეუბნება ობობას:

— „ნუ ჩამომატოვე კვებნათო, მე და შენ, ვიტყვი თამამად, რომელი ტოლი არეინ გვყავს ქვეყნისაში? ისიც თავს უქნეს ცბიერათ: „ვიში, რა კილოზე მღეროი!“ გულში კი ფიქრობს: „ღიღცა შენზეც მოდგება კერო.“

დაზამთრდა. დაბა-სოფლებსა ეწვია ზამთრის ფერი! მთა თეთრათ მოაგვირისტა, ტყე-ველს უცვალა ფერი; სალ კლდეებს ყელზე დაჭკიდა ყინულთა ბროლის შუბები... და სიცივისგან მთლად გაწყდა პეპელები და ბუზები. ობობამ უთხრა წურბელას: — „ძმობილო, გამიგონეო: ახლა კი ქუქყიანეთი არის-ღა ჩვენი ღონეო. მოდი წავიდეთ... და თანვე ნელა გაუძღვა იქითა, სადაც მას ქსელი გაება წინათ განზრახულ ფიქრითა. გაება ჩვენი წურბელა და გაიხლართა მახეში: თუ უმუხთღებდა ძმობილი ეს არ ქონია სახეში. ობობამ წუწნა დაუწყა, ყელში ჩაარქო ნესტარი. ხედავს წურბელა: წამწარდა, რაც სვა ცხოვრების ნექტარი და დაიგრინა სიმწრისგან... ჰკითხა: „რას შეგვი ამასო?!“ შენ, ძმავ, ყაჩაღი ყოფილხარ, გავდი კი „სულის მამასო!“ ობობამ ასე მიუგო:

— „როდესაც სხვის სისხლს სვამდიო ერთი მითხარი, გეთაყვა, ამ საკითხს რათ არ სვამდიო? და ტკბილათ ვადიხარხარა და გამოსრუტა წურბელა: ავი ყველასთან ავი — დამეთანხმება სუყველი!

ჩანრუხაძე.

პატარა ფელეტონი.

„საქართველოს“ რედაქციაში აუწყრელი სი-
ხარულია აღბათ საბუთიკა აქვთ მხიარულებისა.
ეროვნული ბურჟუაზია, პრაქტიკის ხალხია.

— ეს ყოვლად შეუძლებელია. ამბობს დ. კა-
სრაძე—ამდენი ყურადღება ჩვენ არ დაგვიმსახურე-
ბია.

— ჩაგრული ერის სიყვარული, მისი ძველი
ისტორიის სიღიადე, მისი დღევანდელი მწუხარება
ამოქმედებს ჩვენდამი სიყვარულით აღვსნებულ მო-
ციქულს. დინჯაი წარმოსთქვა საეკლესიო კითხვებ-
ში გარკვეულმა სანდრო მანშიაშვილმა.

— ჩვენი პურ-პარილი და სიყვარული მღვდელ-
მთავრისადმი სრული თავმდები იყო იმისი, რომ
ჩვენს ეკლესიას ასეთი მოწყალე გულით მოჰპყრო-
ბოდნენ. შენიშნა დ. კახელმა.

— მე მგონია, აქ კერძო პირის რეალ გულ-
კეთილობასთან გვაქვს საქმე და არა საზოგადოებრივ
სიმპატიანტიპატიასთან, დასძინა სპ. კელიამ.

— ასეა, თუ ისე, ჩვენი ქვეყნის ბედნიერება
სიყვარულის ჩაქუჩით იქედება და ეს ჩაქუჩი ღირ-
სეულ ხელს უჭყრია. ჩაილაპარაკა ე. ახმეტელმა.

რედაქციაში შემოსულ პართენ გოთუას თით-
ქმის ერთხმად მიაძახეს.

— გაიგე? გაიგე? შეიტყვე?

— რა მოხდა? რა ამბავია?

— არ იცო?

— განა არ გაგიგია?

— კაცო, სადა ცხოვრობ, მთავარზე თუ?

— დებუები არ მოგდის?

ყველანი ერთად, ერთხმად ელაპარაკებოდნენ
და მხოლოდ პართენის მახვილ სმინას თუ შეეძლო
ცალკე კითხვების გარჩევა.

— რას მაწვალდებ, თუ რამ იცით მითხარით.
სიადუმლო თუ იყო ნერწყვი რაღას მომგვარებ.

— ნერწყვი მაშინ მოგივა, როცა ნამდვილს
გაიგებ.

— ველი გავებას, თუ მაღირსებთ.

დე. კასრაძემ აიღო დიდი ფურცელი, სადაც
რუსული დებუების შრიფტით რაღაც ამბავი ეწერა.

— აი ჩვენი საკუთარი კორესპონდენტის გ.
ვეშაბელის დებუა. სულ რაღაც საათ ნახევარია
რაც მივიღეთ.

— ჰქენი სიკეთე, წაიკითხე.

— აბა მომისმინე. სინამდინებით და სინა-
რულის ცრემლით თვალზე, გაუწყებთ ძვირფასო
მეგობრებო ჩვენი ქვეყნის ბედნიერებას. ივერის
პრავლ-ტანჯულ ეკლესიას ბედმა ვაღლიმა. ჩვენი
საყვარელი მოამავის ცდამ ნაყოფი გამოიღო. ნა-
ყოფი დიდი, დაუფასებელი. გადაწყდა აღდგენილ
იქმნას მისი უფლებები ჩვენი ერის საკეთილდღეოთ.
უყვე საბოლოოთ გამოირკვა, რომ იხსნება შგმდენ-
ხი საეპისკოპოსო კათედრები:

1— მცხეთისა, სადაც კანდიდატთ დასახე-
ლებულია არქიმ. იოსები (ერის კაცობაში იოსებ
გედევანიშვილი.)

2— გელათისა სადაც რამოდენიმე პირია
დასახელებული, მაგრამ მათ შორის მეტი შანსი
მამა იოანეს (ერის კაცობაში კიტა აბაშიძე) მხარე-
ზეა.

2— ვარძიისა— სადაც ერთი უტყუარი კან-
დიდატია დეკანოზი სამსონი (ფირცხალაია) რო-
გორც უკეთესი მკოდნე ამ კუთხისა.

4— ურბნისისა— მიეცემა აღ. ურბნელს.

5— მარტვილისა— სადაც დასახელებულია ორი
კანდიდატი: თეოდორე და სპირიდონე. (ერ. კაც-
თელა თორდანი და სპ. კელია) პირველს მეტი
შანსები აქვს. პირველს სხვათა შორის მამა ვოს-
ტორგოვიცი იცავს.

6— ვარჯიისა, სადაც აკურთხებენ არქ. დე-
ვისის (დავით კახელად წოდებულს).

7— შემოქმედისა— უცილობლად გადაეცემა
მათ კურთხევის დეკანოზ პართენს (ერისკაცობაში
გოთუას)

8— მთაწიისა— არქ. გერონტის.

9— რუისისა— მამა კონსტანტინეს (ერის კაც-
ობაში კოწია თუმანიშვილის, თუ კი იგი მართლ-
მადიდებლობას მიიღებს)

10— წილკანისა— მიეცემა ბერ-მონაზონს გი-
ორგის (გიორგი ამირაჯიბს) მხოლოდ ომის გათა-
ვების შემდეგ.

11— მარტყოფისა, დაეთმობა დეკან. რევაზს.
(რევაზ ვაბაშვილს).

12— ზედაზენისა, მიეცემა არქიმან. დავითს
(ერის კაცობაში დავით კასრაძე).

13— შიო მღვიმისა სადაც განწყობული იქ-
ნება უნიკიერესი ქართველ მღვდელ-ამოქმედთა შო-
რის მამა აღექსანდრე (ერის კაცობაში აღექს. ახ-
მეტელი)

მეგობრებო, ეს პირველი ჯგუფია. მუდამ წე-
ლიწადს გაიხსნება ცამეტ-ცამეტი ახალი კათედრა,
ვიდრე ყველა მოზილი სოფელს არ ეყოლება თა-
ვისი მღვდელ-მთავარი.

წარმოიდგინეთ მაშინ საქართველოს ბედნიე-
რება!

გ. ვეშაპელი.

საზოგადო მხიარულებისა და აზრთა გაცვლა
გამოცვლის შემდეგ პართენ ვათუამ წამოაყენა
ფრიალ მნიშვნელოვანი საკითხი.

— ეს ყველაფერი ჩინებულია, მაგრამ სად უნდა
იქნებოდნენ ახლად დანიშნულმა მღვდელ-მთავრებ-
მა?

— მართლა, კაცო! იქნებ თფილისიდან თავ-თა-
ვის სამწყობოში გავაძეონ. ეს ხომ შესაძლებელია?
შენაშნა და კასრაძემ.

— არა და ახალ კლუბში გაიხსნა კათედრას
გამოკეპამთა სანდრო შანშიაშვილი.

— მაშ როგორ მოვიქცეთ?

— ვეშაპე იცის!

ვეშაპე.

აიზია მონასტერი!

სწორეთ აიზია მონასტერი! ანტიკრისტე არ-
სად სჩანს, თორემ სხვაფრივ ნამდვილი მეორეთ
მოსვლიაა. აღარაფერია წინანდებური.

ეგ სიძვირე ხომ ცხრა თავიან დევებივით სა-
თობით იზრდება.

ეს ყაჩაღებიც ხომ მაშინ გამრავლდენ სოკო-
სავით, როცა ხაღსს ჰურის ლუკმა არა აქვს. ში-
ნელესს და ქალამანებს მაშინ ხდიან, როცა მამა-
სიხლათ ეიდვლობს. „სად იყვენ ეგ დალოცვი-
ლები როცა შინელში შვიდ აბაზს ვაძლევდით“,
წუწუნებენ გლეხები. სადაც კაცები აღარ არიან,
ღმდაკაცებზე და ბაღნებზე მიდიან იერიშით. და
გამარჯვებულებიც გამოდიან. არსენა და კაკო მა-
გათთან რა სახსენებელია!

სტრანეიკებს აღარ იკითხავენ? სოფელს ყარა-
ულობენ! თავიანთ ცხენებს სანამ თითონ კარგათ
არ გააბანებენ, ერთგულათ არ გასწმენდენ, სანამ
კარგათ არ მოაქმევენ „კორმის“ და თითონაც რა-
მოღვინივ გრადუსით არ შეხურდებიან, სასროლათ
არ გავლენ ყაჩაღებთან. რას იზამ ინსტრუქცია ნე-
ბას არ გვაძლევს!

სამაგიეროთ წვრილი მოხელეები პირნათლად
ასრულებენ თავის მიკალოვებას.

ვილაც რუსი გაკადივორცა მკაცრად მოხე-
ნებას არ მიძლევს. მესამეთ გამაჩერა ამ თელავის
ქუჩაზე. დაუჩინებია: „შენ ნემეცო ხარო“. შე მამა
ცხოვრებულო, საიდან ვგერავ ნემეცს, რომ სიხ-
მარშიაც არ მინახავს ცოცხალი ნემეცო მეთქი.

— არა, შენ ნამდვილ გადაცმული ნემეცო
ხარო.

— ვა! ესეც კარგი ოინია!

— შენი ქუდი ნამდვილ ნემეცურიია.

ოჰო! აბა რით გინდა დააჯერო, რომ ეს ქუ-
დი ნამდვილ ფრანგულია და ვიყიდე მხოლოდ სია-
ფის გამო.

— გვეციები ღმერთს, სარწმუნოებას, წმინ-
დანების ძელებს, რომ ეს ქუდი ფრანკუზკი არის
და არა ნემეცური.

შენც არ მომიკვდე მკითხველო. „Идемъ
приставу“ და მომავლო ხელი.


ებლა კი შეეფიქრდი! (ღმერთმა იცის რა კა-
ცია პრისთავი. იქნებ იმას პირდაპირ ვიღგელში ვე-
გონო?) აქ კი ვაფაშუხვე ტვინის აპარატი და რო-
გორც კი დაფეხირდაპირდი მე და ჩემი წესრიგის
დაძველი აღნიშნულ ადგილს, — ვიტაცე მუცელ-
ზე ხელი და მოგვეყ კრუნჩხვას და პრანქვას. ვაი,
ვაი, ვაი, მუცელი, მოგვედი, მიშველე ჩქარა, არა-
ყუ, ჩქარა სადმე არაყი...

ჩემმა კეთილმა თანამგზავმა იქვე სამიკიტრო-
ში შემეძევა. გამოვჩინინე როგორც იყო მიკი-
ტანს ერთი „პოლოტულიკა“ თელავის „მერზავჩი-
კი“ და ცოტა მოესრუტე მუცლის დასაამებლათ.
დანარჩენი თანამგზავის შევთავაზე. მასაც თვალები
გაუბრწყინდა მეც მუცელი მომიჩრა. ხელი მაგრათ
ჩამომართვა. ქუდს დააქტერდა და ექვის თვალით
მითხრა:

— შენ მართალი ხარ, ეგ ქუდი უფრო ფრან-
გული უნდა იყოს. მაგრამ სულერთია, მშვიდო-
ბით!.. თუ ხშირათ იცი თუცელის ტკივილი, არა-
ყი უებარე წამალია.

მოდი და სთქვი, არ აირია ქვეყანა?

ლოთი — ფოთი.



მშვიდობიანობა: სიანს კიდევ დიდხანს არ მომიწევს დედა-მიწაზე დაშვება.

ვინა სთქვა.

(ქვემო მანხანასთვის.)

ვინა სთქვა, ქვემო-მაჩხანი,
ჩამორჩენილი არიო?
ვინა სთქვა, სხვებზე ნაკლებათ
გვყავს მუქთა ხორა ჯარო?



მსახ. ა. იმედაშვილი
„ოტელოს“ როლში.

არა!.. ჩვენც გვიზის უფროსად
„ჩაქუჩას ბიჭი“ ბასილა...
(თუმცა ჯერ სხვა მამებსავით
ყელამდე ის არ გავსილა.

ქედი მისი საქმეა.
ამისთვის გაჩენილა
და სოფლის საჭირისუფლოდ
ჰყავს „პომოშნიკი“ ილია.

ფერშალიც უზის მაჩხანს
გამოცდილი და კვიანი...
უწამლოთ ხელად მოგარჩენს
რაც უნდა გქონდეს ზიანი.

მხოლოდ ქსენონი გამოსჩანს
ღარიბი, ცარიელია
რამაც შეუწყო აფთიაქს
რიგზე მოითბოს ხელია.
სამკითხველოც კი არსებობს
აქ... (მუდამ დაკეტილია.)
ნეტავ რას ფიქრობს ვიცოდეთ
კონდრატე, ან და ილია.

ვისაც სურს თვალის ჩავლება
მუნ ჟურნალ-გაზეთებისა, **პირველი
სერიისა**
ფოსტაში უნდა მოარჩინდეს.
ყველა იქ დაუხვდებისა.

ბევრი რამ შესანიშნავი
აქვს სხვაცა ამა სოფელსა...
რასაც შემდგეში, უცვლელათ
გაუწყებთ თითქმის ყოველსა.

მეზი.



მფრინავი

გზა ჩემი ვლისა
ქეშმარიტად არს სახიფათო.
თუმც ასპარეზი საოცნებო
მიპყრია ფართო,
მაინც მაფიქრებს
მე წინსვლისა ჩემის სიმაღლე...
ფერძნობ, განკითხვის დღეს
და აღსარულს მივალწვევ მალე.
მაშ გასწი, ყანჩავ,
დაე ნავარდს მიეცეს ბოლო...
ჩემის დიდების
და ნუგეშის
შენ ხარ სიმბოლო.

გასწი გაფრინდი,
გასწი, ყანჩავ, გაინავარდე...
შესვაც შეშურდეს
შენი ფრენა, შენი სიმარდე.

—კი.

ჩემი დღიური.

ოთხშაბათი 10 თებერვალი. ერთად-ერთი
ღარაჯი ქართველი ხალხისა და ორგანო ერთა-ერ-
თი პოლიტიკური პარტიისა „სახალხო ფურცელი“
დღევანდელ ნომერში სწერს:

„ღარაგისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს,
რომ მათთვის (ე. ი. ქართველი დეპუტატებისათვის)
საქართველო არ არსებობს“. (მოწინ. № 498).

არ ვიცი ღმერთმანი რა გვეშველებოდა, თუ გან-
გებას ჩვენთვის „სოც. ფედერალისტები“ არ გაე-

ჩინა, მორიდება, დაზოგვა და მამიდარწვილობა მათ კარაბადინში არა სწერია. განა მართლაც არსებობს საქართველო ჩვენი დებუტატებისათვის? რასაკვირველია არა. კარლო ჩხეიძე აგერ რამდენი ხანია სხედსწვიფლო დღეში ორატორობს და ერთხელ რა არის, ერთხელაც ქართულად ენა არ დაუძრავს. ენა ხომ პირველ ფაქტორია ეროვნებისა. რას ვაქვს ქართველ გლეხებსა და მუშებზე ზრუნვის, თუ კი ტრბილი ქართული სიტყვა გაჰქრება და ყველანი უცხო ენაზე დაიწყებენ ლაპარაკს?! არა, მათთვის ქეშმარიტად რომ აღარ არსებობს საქართველო.

პარასკევი 12 თებერვალი. ჩვენი ერის დაუღალავი დარაჯი და ქირისუფალი „სახალხო ფურცელი“ კვლავ განაგრძობს ქართველ სოციალ-დემოკრატთა და ჩვენებურ დებუტატთა მხილებას. მიყვარს და მომწონს მე მათი ესე ვითარი თავდადება, ესე ვითარი სიმტკიცე.

„ომი არ იყო, მაგრამ ჩვენ ყოველთვის ვამბობდით, რომ ჩვენს სოციალ-დემოკრატებს არა სწამთ არც საქართველო და არც მისი პოლიტიკური ინტერესები“.

„ჩვენებურ დებუტატებსაც საქართველო, როგორც თავიანთი სამშობლო არა სწამთ“.

„ქართველი დებუტატების ლექსიკონიდან საქართველო ამოშლინა“.

„საქართველო მათი (ე. ი. ქართველი დებუტატების სამშობლო არ არის“ (პრესა, № 501)

აქ სტილიც არის დაცული, თანდათანობაც და გონიერებაც. მართლაც, განა რომელ ქართველ სოციალისტსა სწამს საქართველო? ეს დაუღალავი მათი შრომა ჩვენს დაბა-სოფლად და ქალაქებში განა აშკარად არა ხდის მათ ფარულ გულის ზრახვას, რომ მოწადინებული არიან საქართველო მოისპოს, ქართული ენა გაქრეს? ქეშმარიტათ წინდახედული, შორს გამკვერტელი და თან ყოვლად პატრიოსანი ხალხია ეს ფედერალისტები, ოაოი უაღრესად გულწრფელი ხალხია ეს ფედერალისტები.

ერთხელ მე აკაკი ჩხენკელს ვკითხე:

— ბატონო აკაკი, თქვენ სადა ხართ დაბადებული?

— ჩემი სამშობლო ამერიკაა. ჩიკაგოში დავიბადე და სწავლა ვაშინგტონში დავასრულე.

— არა, მე ვიცი, რომ თქვენ ქართველი ბრძანდებით. ლაპარაკიც ქართული გცოდნიათ...

— გარწმუნებთ, ამერიკელი ვარ...

მე სულელს მაშინ არაფერი არ მესმოდა ქართველობის შესახებ და არც ამათ პიონდო დაწერილი ასეთი საუცხოო განმარტებები. ახლა ვიცი, რომ ის ქართველი არ არის და საქართველო არ შეიძლება მისი სამშობლო იყოს. ასე სასარგებლოა გონიერი გაზეთის კითხვა.

შაბათი 13 თებერვალი. ვენაცვალე კალმის წყერში არ გაუშვებს არც ერთ დღეს და არ შეარჩენს არც ერთ სიტყვას, თუ წინ არ გაიბურთავა. აი მოვალეობის პირნათლად ასრულება (სამშობლოს წინაშე!) სწორედ ამასა ჰქვია იმ დღეს რასა „სწერს სახალხო ფურცელი“:

„როდესაც ქართველი სოციალ-დემოკრატი ლაპარაკობს სამშობლოზე, იგი ამ სამშობლოს ვერა გრანძებს, უნდა ხედავს. ლოდიკურათ მაშინ მან საქართველო ენა დასახოს სამშობლოდ. ეს კი ჩვენებურ სოციალ-დემოკრატებს არა სურთ“ (პრესა, № 502)

სწორედ მზიბლავს ეგ თანდათანობა, ერთ გზაზე სწრაფია და ერთი რეალი მიზნის დასახვა. რომელი სოციალ-დემოკრატი ხედავს თავის სამშობლოს, ან როგორ შეუძლია დაინახოს ის, რაც მას არ გააჩნია და რასაც იგი ხედავს ეს ფედერალისტების სამშობლოა. მაშ ეგრე! დე მთელმა ქვეყანამ იცოდეს, რომ:

I სოციალ-დემოკრატისათვის სამშობლო არ არსებობს.

II ქართველ სოციალ-დემოკრატებს საქართველო არა სწამთ; მას თავის სამშობლოთ არა სთვლიან; ლექსიკონიდან უკვე ამოშლეს.

III საქართველო მათი სამშობლო არაა.

IV ჩვენებურ სოციალ-დემოკრატებს საქართველოს სამშობლოთ მიჩნევა არა სურთ.

ეს კარგათ დავიმახსოვროთ და როცა საქირო იქნება პირში მივახლოთ.

პარასკევი 19 თებერვალი. ერთი კვირე გავიდა ეროვნულ დარაჯებს სოციალ-დემოკრატთა ვერავაზაზე არაფერი დაუწყებიათ. ეს დუმილი ალბათ „პერეგრუპიროვით“ იყო გამოწვეული. სამაგიეროთ დღეს იფეთქა:

„ჩვენ არ გვეგულება ისეთი თავგები ადამიანი, რომელმაც გახედოს და სთქვას, საქართველო ჩემი სამშობლო არ არისო“.

*) მე კი ბოლოთ მეგულება ისეთი თავგები ქართველი, რომელიც ხედავს და სხვებს ეუბნება: საქართველო ჩემი სამშობლო არ არისო.

ეს რა ამბავია? ღმერთო ჩემო! მამ რასა სწერდენ 10—12—13 თებერვლის ნომერში? ნუ თუ აქ ლალატია? ვანა შეიძლება ფედერალისტები სამშობლოს ღალატობდენ? რამდენი მსხვერპლი შეუწირავთ მამულისათვის... ვაისხენეთ განვლილი მოძრაობა. ორჯერ იყვნენ მცხეთაში საეგვიპტოთ და ერთხელ საგურამოშიაც. არა, ეს ალბათ შეცდომაა.

„მით უფრო ჩვენ არ გვეგულება ისეთი პართელი საზოგადოებრივი გჯგუფი, რომელსაც შეეძლოს განახლადს მე სამშობლო არა მაქვს და კიდევ რომ მქონდეს იგი მინც საქართველო არ იქნებაო“.

თავბრუნ შეხვევა. ნუ თუ ყოველივე ეს მართლაც ასე სწერია, ყოველივე იმის შემდეგ რაც ის ზემოხსენებული ისე ეწერა? აქ ან ლალატია, ან მე ვარ სიზმარში. ან მე შევიშალე, ან ისინი, დავიცადი საღამომდე, კიდევ ვადავიკითხავ. იქნებ ახლა თვალს მიბორგავს.

მორიელი.

ახია, ახი!

ვა, ვა, ასტვაც, ტერ-ასტვაც! მე ამისთანა აბრუნდის წელიწადი ჩემს ღღმში არ მინახამს! ენტა პრამა ვტაროი ჰრამესტვია ეიბოლუ! ძალი პატრონს ვეღარა სცნობს რალი! მინდა ვსთქვა და თანაც ვერ გამიბედნიანა ენა მიღუნდება, შიშით კრიჰა შეგვრება. ასე მგონია რომ ჯოჯოხეთის საკირეში ჩამხრუკვენ მეთქი.

ვა, ვა, ვა, ვა! ნუქელი მილოვმა და ადელხანოვმა ვარავსტვა დაიწყეს! მერე სამი მილიონი ემ, შუტკა შტოლი! სამი წელიწადი მინც ვსთვალო მინც სსსრტის ვერ უხა! ვა, აფსუს გრიგორ გრიგორიჩ! ქრისტიანო, ვანა ადელხანოვს თავისი მაული ცოტა აქვს რომ კიდენ სხვას არ ასწანოს! მერე ვისა შპარავს კაცო, საწყალ სალდათებს. ისინი ვანში სიცივით კვდებიან და ეს აქ ავტომობილით დაბრძანდება და ბუმბულში ხტრინავს. არა, რატომ ღმერთის აღარ ეშინიან!

ვა, მილოვი კაცო! იმახის პერვოი გიღლის კუბეწი ვარო, ვაჭრების გლავნოკამანდურეჩო. კი იმის ცხვირს მოუვა, კი კამანდერი ისა ყოფილა. კაცი ამოტოლა ქურდობასა შრება და მიკვირს როგორ ისვენებს! ნუქელი სოვისტი სავსემ აღარა აქვს! რა ვიცი კაცო, ცხონებულ გამიჩემისთვის კუბოს მიტკალი რომ ვიყიდე სლუჩანათ ერთი

არშინი ღმერთი გადმოუყვა ბახახს და ერთი წელიწადი შიშით ვკვდებოდი, ხუტუნ სიზმარში შელანდებოდა: კუბო, მიტკალი, ტურტკა და ტირაკუა. სანამ იმ არშისის ფული არ მივეცი ვერ მოვისვენე რალი არა რომ ჰკითხოთ კრუპნი კაცები ვართო, ტურტია უნდა დავამარცხოთ და არმიანსკი გოსუდარსტვა დავაარსოთო. აზირ რა კარგი კაროლები იქნებიან! ვინ იცის, იქნება სულ კარ კვირის გამოუყვანონ წირავ მთელ გოსუდარსტვას! არა, უდიდებულნი ის იყო „შეშაკ“ რომ კარიკატურეკი კარტიკეში დაეხატან! ვა, რა მზალოა კაცო, თავიანთ მოპარულ მაუდის შინელებს თითონვე რომ აცმევდენ ვირის აბანოში!

ღმერთმა ააშენოს ჩვენი პოლიცემისტარი. არა, რა გემოზედ გაპარავატიოა მეტების ციხისკენ! მალადეც ჩგნის სლოვა! ახია იმთხუე, ახი! პირძაღლი ვიყო, თუ დამენანოს, მე ჩარექ ღვინოს არ მაყიდინებდნენ და ისინი კი სამი მილიონობით ყლპავდენენ კაზიონი იმუშჩესტვას. კუბეწები ვართო! კუბეწები არიან და მიბრძანდენ კარტენი რაბოტაში, ისინი კანდალებით ვარაზუნდებიან ტიფლისიდან და მე კი ეს გაქუტული ბაგრატა ისევე აქ ვიქნები ქალაქში. ჩუნზინივით ხან გავიწელები და გავგაქვლები, ხან დავმოკლდები. ხან ფულიანი ვიქნები, ხან უფული. ჩესტანთ ხომ ვიქნები. ეგენიც ღმერთმა შარაცხინოს და მაგათი ბავატსტვაც. ახია რაც მოუვათ, ახი!

გაგია.

მესტვირული

რაც დავისვენე მეყოფა ხელთ ავიღე გულდასტვირი მინდა გითხრა ყველაფერი ხალხის წყლული, ხალხის ჰირი.

მევირი არის მეზობლებში არამზად მენე პირი, მათ არ ცემით ახლომეღის განა კვენსა, ვასაჰირი?

უფროსობას ირემებენ დრო დაუღდათ მშენიერი, მუშა მიჰყავთ პარტიობით, აირია მონასტერი.

ბათუმშიც ვიხილე,
საქმე ვნახე სატირელი,
ერთად იღვა მუშის გროვა,
გაზრობოდით ნერწყვი, ყელი.

უფროსებსა წავეყვანათ
სამუშაოთ სადღაც მთაში,
შემდეგ იგი გაჰპაროდა,
ვერ ენახათ ვერსა გზაში.

ფული სრულათ წაერთმია,
გამქრალიყო, ვით ისარი;
საქმე ექმნა უსინდისოს
თვით იუდას დასადარი.

ინჟინერთან რომ იჩივლეს,
მუშებს სტკუცეს ცივი ვარი;
ერთად იღვინენ და ფიქრობდენ:
სამართალი სადღა არი!

ასე ყვლევდნ თავის მოძმეს
და აძრობენ მუდამ ტყავსა,
აბა მითხარ, მითხარ ერთი
ეს ამბავი რამეს ჰგავსა?

საქირთა გამომეღვირდეს
შეინე პირთა სახელები,
რომ შემდეგში არ მოსტყუვდეს
მათი სიტყვით სოფლები.

შანტაჟისტთა თარეშობას
აღარა აქვს დღეს საზღვარი,
დრო დაუღვათ პარაზიტებს
მოსაგები, სულ სხვა გვარი.

აბა, სტვირო, არ გაფუჭდე,
შენ კილოსა ვენაცვალე,
კიდეც მინდა ლექსის თქმაი
ორი სიტყვა დამაცალე;

ოზურგეთში ჩავიარათ,
აქაცაა სამართახო,
მათი საქმე საემირონი
მსურს ქვეყანას დავანახვო.

აქაური რაინდია,
ბნელი საქმის მოციქული,

რეაქციას როცა ხედავს,
მაშინ არის გაბედული: **თერმედი**
ბიკლითა

მაშინ უკრავს მხიარულათ
მისი დაფი და ნალარა,
იმას ლანძღავს, ამას ლანძღავს
შორს ვერ მხედი და ზუმარა.

სიბნელესა შესტრფიალებს,
მის წინ იყრის მეტანიას,
ბევრი ლანძღვა და გინება
უძღვნა ნოე ქორდანიას.

სამკითხველოში შევიდა,
სურათიც კი შეუგინა
და მით იგრძნო სიხარული
მაგენ პირმა გულსა შინა.

ნეტა თვითონ ვინ ბრძანდებია,
რა პირი და რის მომქმედი!
როგორი აქვს თეორია,
რისი არის თვითონ მქედი?

როცა ლანძღვით იხსენიებს,
ვინც ქვეყნისთვის დასდო თავი
და მუშებსა დაანახვა
ყველაფერი: თეთრი, შავი:

აბა, სტვირო, არ გაფუჭდე,
სიტყვის თქმაი კიდეც მინდა,
მოღვაწისა მგინებელსა
სხვა რა ეთქმის:— „რაწმინდა“!

ბუჯგუბი.

რბ დრო და გვიდგა!

ხელში ავიღე ქამანჩა
ჩემი, ძველოვან-ძველია;
მინდა დავიწყოა ლიღინი
ღმერთო შემიწყე ხელია.
დაკვრა და მღერა კი ვიცო
თუმც არ ვარ ფარახელია,
დაე მიწოდონ მესტვირე
თბილისის ქალაქელია.

სულ გამოვანენ აშკარად
ვინც ქვეყნის დამღუპველია,

გურული სენა

ვინცაი ცხვრის ტყავსა ატარებს
 შიგ გახვეული მგელია,
 ვისაც ღარიბი მცხოვრები
 ფეხის ქვეშ გაუთელია
 და ვინც (უღანოთ) ხალხისა
 ყალბისა გამოჰქრელია.

მიუღიღინოთ, ქალაქის
 ვინცა ბრძანდება თავათა...
 და გაუსინჯოთ მას მჯავა,
 ხომ არ გამხდარა ავათა?
 რათ არ ჩაივლის ყასპებში
 ხორცისა სანახავათა
 რათ გაუხთია მცხოვრებში
 მას იმათ ჩასანთქავათა?

მეპურეებმაც სხვა ხერხით
 გამოგვიცხადეს ომია,
 პურს კი ჰყიდიან ნიხრუნდა,
 მაგამ ის თბილი ცომია...
 აბა გაბედე, ხმა გაეც,
 თუ ბედი შემოგწყრომია...
 ვგონებ ას თუმნად გიღირდეს
 თავგისა შესაძრომია.

დიდრონ ვაჭრებმაც იდროვეს,
 ბრძოლა აქვთ გამწვავებული...
 ეს თუმცა ძველი წვისია
 ძველად არიან ქებული...
 შემთხვევით ხალხსა სძარცვავენ
 ფრთხილათ ჰყავთ გატყავებული,
 ფუი, დასწყევლოს უფალმა
 ნაძარცვით გამდიდრებული!

ქვეყანა სისხლმა მოიკცვა
 ხალხიც შიგ სისხლში ირჩობა
 ვაჭრებისათვის კი ეს ღრო
 საბედნიეროთ იშობა.
 მათ არ იციან სინდისი,
 სირცხვილი, არცა შიშობა,
 ესე არს მათი ხელობა
 მათი მრდგმა და ჯიშობა.

მე ჩემსას ვიტყვი, ვისაც სურს
 დაე დამიწყოს გინება...
 დაჩუმდეს მაშინ, როდესაც
 ყბედობა მოეწყინება.
 ვიცი ბევრს აწყენს ღიღინი
 დამე არ დაემინება
 ბევრს ააკენესებს, ატირებს
 ცრემლები დაედინება.

ან. განჯის-კარელი.

ხა ხა, ხა, ხა! ხი, ხი, ხი, ხი! აი და უი, ვაი
 და უი, ქვაი და რკუი, არ გგონოა ბეუი, კაცი
 ვარ ტლიკვი, თუ დამქირდა ბლიკვი—იზისანას მე-
 ვიქნევ, რომე კაცს ფშვნილათ გავხთი; დედამ! აბა
 რუა გონია, კაი ბიჭი გურული, გაბედული, შკინ-
 ჩილი, ჩაქურაი. დამიბარეს ყრილობაში, გავშვი
 და მივედი, ვინ მიმასრობდა თუ იცა; ბოლოს მის-
 ვლას ვიკადრებდი თუ?!

გამოუცხადეს, რომე ვისაც საღლათში ყავს
 ვინმე წასული, იმას ფულებს მისცემენო, წამხთარ
 საქმეზე არ უშვავს მეტი, მომცეს ერჯელ სამი
 ტლიკვი თუმანი, მივედი მორეჯერ მომცეს ორი თუ-
 მანი, აი რაა თუ იცი შეთქი—ვუთხარი მამასახლისს
 უწინ სამი თუმანი, ახლა ორი თუმანი, აქნაი კენ-
 ქობიეი ყოფილა, აწი კაპეიკი შეიქნება და კაპეი-
 კიზა აქნაი რაფერ ვიარო მეთქი; არაო, ერთი თუ-
 მანი ქთამათ გვინდა მე და ჩემ წერალ ონისიმესო;
 ხომ ხედვად საქმე გაგიკეთეთო. ახლა გვეიმართე წე-
 ლში, გადვიწყვერტე ულუაში, შეგვაქნე კაბალახი!
 ვიშიშველ ფიშტო და აბა თქვენ და აბა მე მეთქი,
 უყვირე და უყვირე, გეიქცა მამასახლისი, გეიპარა
 ონისიმი წერალი, გამიგენთე ორვეს, ვსდიე და
 ვსდიე; იგინს ჩოხა ეცვა მე ჩაქურაი, გადავახტი
 ღობეს, ნაგრს, ბარდს, სახლს, დუუსარი თავი, შევ-
 ჩიხე შუკაში ორუე, უცხუნე და უცხუნე, უთაქე
 და უთაქე და ჩემი თუმანი დევაკარქლიე. მე გახლა-
 ვარ კაი ბიჭი, ტლიკვი ბიჭი, შკინჩილი, ჩაქურაი.

ბუჯგუტი.



დეპეშები.

ბათოში. 23 თებერვალს, საქრისტიანო „სა-ქართველო“-დან აქ ჩამოვიდა და სამაჰმადიანო სა-ქართველოში მიემგზავრება

ბ. Legatus: როგორც ვაგივეთ მისი მიზა-ნი ყოფილა: გამოიკვლიოს თუ რამდენი ქვისაგან იყო აშენებული ძველად აქარეთში, ეკლესიების ზოგიერთული კედელი.

ამ დღეებში აქ ვაიფიციენ ქორაოხის ვალმა მომუშავე მუშები, და წარუდგინეს საქმის მწარმოებლებს გემდგვი მოთხოვნილებები: 1) მუშის ხვედრი ქირიდან მოიჯარადრე უნდა დასჯერდეს მხოლოდ 20%/ს, უტაბელიკი 20%/ს, ხოლო უფროს „მუშას“ კი უნდა მიეცეს 15%/ს. დანარჩენი უნდა თანასწორად გაიფილანგოს ბანქოში და კამათალში. 2) მიენიკოს მუშას სრული თავისუფლება ზემოხსენებული გამართობებით სარგებლობის. 3) აიკრძალოს ავათ ვახლომა. 4) განსაზღვრულ იქნეს დრო შემდეგ ნაირად: 113 საათი მუშაობისთვის, 7 საათი კამათლის და ბანქოს თამაშობისთვის, 4 საათი ძილისთვის და დანარჩენი კი უურნაღვაზეთების კითხვისთვის.

ვინაიდან ვაგიცვა მტკიცე და ერთსულოვანი იყო, ამიტომ იგი მუშების სრული გამარჯვებით დავერგვინდა. და ყველა მათი მოთხოვნილებები უცვლელად დააკმაყოფილეს.

ხობი. (ბათუმის რაიონი) ხობის ახლოს ჩაძირული გემის ამოღებისთვის და უფრო ღრმა აღგილზე ჩაძირვისთვის, ბ. კედლიმ მიიღო 30,000 მ. „ხარჯი“ კი მოსვლია „ამოღება“ ჩაძირვაზე 40,000 მან. უზარალონა წმინდათ 10,000 მან. ამბობენ: ამ ზარალის ანაზღაურებას აპირებს მთელს ლაზისტანში მის მიერ გამოცხადებული თხილის მონოპოლიითა.

— აქ ვადმოსხეს ხუთი ათასი კაცისაგან შემდგარი ქიზიყელთა კავალერიის დესანტი. ჯარის სარდალი ბ. კედლია ბძანდება (კედლია არ გვეგონოსთ) თუ საით უნდა დაიძრას ეს მტრის თავზარდამცემი არმადა, ჯერჯერობით არავინ იცის.

კვახი.

დიდი ჯიბიანი

ოცდა ათამდე იქნება ჩვენში მკერავი ქალები... მათთვის უკნობი ხრლია წიგნები და ჟურნალები...

ნეტავ ვიცოდე თუ როდის აებილებათ თვალები, რომ ენახო სამკითხველოსკენ ხალისით მომავალები?

ერთხელ, ერთმანეთს კინაღამ ავლიჯეს თმა-დალალები... ვსკვრეტდი და მეყოლებოდნ ასულნი შესაბრალები...

პოლიციაში მიბრძანდენ ბრძოლაში დანაღალები, უკან დარაჯი მისდევდა ფეხ და ფეხ ნაჩანალები.

ვაი სირცხვილო! რას ხედავს, ჩემი ცოდვილი თვალები როგორ ლანძღავდენ ერთმანეთს დიაცნი განა-მთვარალები!

მარტო კრა-კერვა არ კმარა ჯიბიანიშელო ქალებო ცოტ-ცოტა წიგნიც იკითხეთ იაგუნდნო და ლალებო.

კიკოლა ბიჭი.



--

ფ ო ს ტ ა

„შეშაკის მათრახის“ რედაქცია ამით აცხადებს, რომ უსახელო ავტორებისა და უცნობ პირთა წერილები ეურნალში არ დაბეჭდება.

შემთხვევითი კორესპონდენტის ვინაობას და წერილში აღნიშნულ ამბის სისწორეს უნდა ამოწმებდეს ვინმე რედაქციისათვის სანდო პირი.

სარედაქციო წერილი უნდა დაიწეროს ქალაქის ცალ გვერდზე და ყოველ აღნიშნულ ამბავს თან ახლდეს საჭირო ახსნა-განმარტება.

რომ სარედაქციო წერილი რედაქციაში მოსკლამდე არ გახსნან, საჭიროა კონვერტზე აღდგის შემდეგ დაეწეროს: „შეშაკის მათრახისათვის“.

უმარკო წერილებს რედაქცია არ იხსნის და დაწუნებულ მასალებს არ ინახავს.

არ. ივარგეს.

„გულში გმინობს ამიფუფას
სიცოფეში ტანხანაფეს...
დმერთო, დმერთო, მქედ მადარსე
სიცოცხლე და კარგათ უოფან“

თქვენდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იშვი-ათია ეგზომ შესაფერი ფსევდონიმი ქართულ მწერლობაში.

ვაჟა-ნონელას.

„მსურს ბრძოლას გვლზე
კავიანგარდო
და ცხელი რკინა გვლახო
ვით ფაფა...
გიფურია არას ჩემი მიდრეკა
და ჩემი სულის უფითელი
სწრაფეგა“

ეს ერთი გვიპატივებია. შემდეგ კი, რედაქციაში გასაგზავნად დამხადებულ კონვერტს, ასე დააწერეთ: ქ. ქუთაისი. ცისფერი ყანწების რედაქციას.

დ. ყარაჯაშვილს. „უშორობაჟესად გთხოვთ შეასწოროთ ჩემი ბატარა ლექსი „ქრულ აოუს“ და დამიბეჭდოთ“

იწერებით კერძო ბარათში. მართლაც თქვენი ლექსი ძლიერ პატარაა, მაგრამ სამაგიეროდ დიდათ უვარგისია. შესწორებაზე ფიქრიც მეტია.

თ. ირინეშვილს. გარწმუნებულად თქვენი ლექსი ვერავის სახელს ვერაშემეფებს ნორჩ გრიშას.

„ტაბუბო რომ ქაღმას ნახა
მდედელს დაჟგონს წვერას...
ეს უნდაღა ამ მდედელსაგა
შან ქაღს მოხვავა სუღაა“.

აი, აი, აი! ასეთი ნორჩი ყოფილხართ და უკვე რაებზე ფიქრობთ... ჯანი გავარდეს, იფიქრეთ თუნდა მაგისტანებზედაც, ოღონდ ლექსის წერას კი დაანებეთ თავი.

1 მაისიდან ქალაქ თფილისში გაიხსნა ეურნალ-გაზეთების კანტონა

„ბანასთლებს“

ქართულით ვერტებს გვეზავება შემდეგი გათეობი: „თანამედროვე აზრი“, „შეშაკის მათრახი“, „თემი“, „თეატრი და ცხოვრება“, „ქუთათაური“, „ახალი ცვლი“, „პაპაქსკოე სლოგონ“, „თბილისის ლისტოკი“, „ოროზონი“, „მშვიკი“ და „ხათაბოლა“.

აგენტები გულმუხლით მიევი გვეთხვი დავეთხვი გაზეთების ფასი წინდაწინ გადინადონ. წინააღმდეგე უთხოვეთ. გაზეთები არ გავგზავნებთ.
ფული და წერილები უნდა გამოგიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, почт. ящ. № 96, Сильверу Р. Таваркхილაძე.
კანტონის ადრესი: ოლგინსკია, № 6.

მიიღავს ხალის-მოწერა 1916 წლისთვის. ეროვნული
ბიბლიოთეკა

უოველ-კვირეული იუმორისტული გამოცემა

ეჭმაკის მათრასი

ჟურნალის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განაგებენ **ეჭმაკი და თაყუნა,**
ხოლო გამოცემის საქმეს ა. ვ. ბუკია.

ჟურნალის ფასი - 12 თვით 5 მ. ♦ 6 თვით 3 მ. ♦ 3 თვით 1 მ. 50 კ. ♦ 1 თვით 50 კ.

„ეჭმაკის მათრასში“ დაიბეჭდება მხოლოდ იუმორისტული შინაარსის წერილები, ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, ათაკები, შარადები, გამოცანები, ნაკვეთები და სხვა.

→ ჟურნალში დაიბეჭდება საერთაშორისო ომის ილიუსტრაციები.

რედაქცია სთხოვს ყველა თანამშრომლებს, მასალები გამოგზავნონ

ამ ადრესით:

Тифлисъ *)

С. Р. Таварткиладзе.
Одигиная 6,
Почтов. ящ. № 96.
(ეჭმაკის მათრასისათვის)



*) ეს ადგილი კონკრეტულ მარკისათვის არის დანიშნული და გულმგობი წყებს მოვადგნებთ, რომ

→ უმარკო წერილებს რედაქცია არ დაიხსნის →